თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №976870

ნომერი: AR1167725

თარიღი : 09.10.2013

გაცემის თარიღი : 01.11.2013

გაცნობის თარიღი : 02.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , ნაკვეთი 23/032 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , ნაკვეთი 23/031 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს ბანი 2007 კოდი: 206316388

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 19 სექტემბრის #907421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09/10/2013 წელს AR1167725 განცხადებით მომართა დავით მახარაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 19/09/2013 წლის 907421 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 19.09.2013 წელს №907421 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/032/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ბაღდადის, ნაკვეთი 23/031, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.17.12.023.035) საცხოვრებელი, საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს საერთო, საზაფხულო და საცხოვრებელი ფართობების შეცვლას ვინაიდან არასწორი დაჯამების გამო ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა შეცდომით. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს დავით მახარაშვილის 2013 წლის 10 ოქტომბრის AR1167725 განცხადება;

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 სექტემბრის #907421 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 1765,0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 776,47
- საერთო ფართობი (კვ.მ): 9155,45
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 5956,47
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 896,1
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 712,54
- სარდაფის ფართობი (კვ.მ): 56,43
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 712,28
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 326,6

- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 495,03
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 354170,17
- 0,00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 349025,19
- 0,00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 5144,98
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 45,6
- 0,00 ნიშნულის ზევით (მ): 40,3
- 0,00 ნიშნულის ქვევით (მ): 5,3
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 715,8/1765=0,4
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 8118,2/1765=4,6
- კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 194,7/1765=0.1

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ოქტომბრის #907421 ბრძანებასთან ერთად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
